



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან
იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სამინისტრო

2021 წლის I კვარტალში გაწეული საქმიანობის ანგარიში

2021 წელი

თბილისი

2020 წლის 31 დეკემბერს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მინისტრის N189-მ/ს ბრძანების საფუძველზე, სამინისტროსა და სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში დაიწყო რეორგანიზაციის პროცესი. მინისტრის ბრძანებით შექმნილი რეორგანიზაციის განხორციელებაზე პასუხისმგებელი კომისიის მიერ, მოქმედი კანონმდებლობის დაცვით დაიგეგმა და განხორციელდა რეორგანიზაციის ყველა ეტაპი:

- **პირველი ეტაპი** - სამინისტროსა და სამინისტროს სისტემის სტრუქტურულ ერთეულებში შტატების ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრა, ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმირებისა და შესამცირებელი თანამდებობების/პოზიციების იდენტიფიცირება;
- **მეორე ეტაპი** - აუცილებელი სამართლებრივი აქტების ცვლილებებისა და სამინისტროს ახალი ორგანიზაციული სტრუქტურის პროექტის შემუშავება - შტატების შემცირების შემთხვევაში, მობილობას დასაქვემდებარებელ მოხელეთა სიის განსაზღვრა;
- **მესამე ეტაპი** - ახალი სამტატო ნუსხით გათვალისწინებულ თანამდებობაზე დასანიშნი/გადასაყვანი და მობილობას დასაქვემდებარებელ მოხელეთა მობილობა და მობილობის შეუძლებლობის გამო გასათავისუფლებელ პირთა რეზერვში გადარიცხვა.

რეორგანიზაციის მიმდინარეობისას სამინისტროს მართვაში გადმოვიდა სსიპ „აფხაზეთის გეოლოგიისა და მინერალური რესურსების სააგენტო“, რომელიც რეორგანიზაციის შედეგად გარდაიქმნა სსიპ „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მომსახურების სააგენტოდ“.

რეორგანიზაციამდე სამინისტროს, ტერიტორიული ორგანოებისა და დაქვემდებარებაში არსებული სსიპ-ის საშტატო რიცხოვნობა შეადგენდა **144** ერთეულს, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა კი **45** ერთეულს.

მათ შორის:

- სამინისტრო - **45** საშტატო ერთეული;
- აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიული ორგანო - **30** საშტატო ერთეული;
- იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიული ორგანო - **20** საშტატო ერთეული;
- სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიული ორგანო - **30** საშტატო ერთეული;
- სსიპ „აფხაზეთის გეოლოგიისა და მინერალური რესურსების სააგენტო“ - **19** საშტატო ერთეული.

რეორგანიზაციის შემდგომ, სამინისტროსა და ტერიტორიული ორგანოების საშტატო რიცხოვნობა შეადგენს **122** ერთეულს, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა კი **26** ერთეულს.

მათ შორის:

- სამინისტრო - **42** საშტატო ერთეული;
- აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიული ორგანო - **24** საშტატო ერთეული;
- იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიული ორგანო - **18** საშტატო ერთეული;
- სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიული ორგანო - **23** საშტატო ერთეული;
- სსიპ „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მომსახურების სააგენტო“- **15** საშტატო ერთეული.

სულ კლება - 41 ერთეული, მათ შორის 22 საშტატო ერთეული და 19 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი.

1.2. სამინისტროს ბიუჯეტი:

2021 წელს I კვარტლის სამინისტროს ბიუჯეტი განისაზღვრა - **634 278** ლარით.
მათ შორის:

შრომის ანაზღაურებამ შეადგინა -360 163,26 ლარი.
პროგრამების დაფინანსება განისაზღვრა - 125 000 ლარით.

1.3. ბიუჯეტით დაფინანსებული პროგრამები:

1.3.1. დევნილთა საცხოვრებლებში მცირე ფასიანი სარემონტო სამუშაოების უზრუნველყოფის პროგრამა:

ჯამური ფინანსური რესურსი - 23000 ლარი.
ათვისებული თანხა - 0 ლარი.

1.3.2. დევნილთა ჩასახლების ობიექტებში სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფის პროგრამა

ფინანსური რესურსი - 115 000 ლარი.
ათვისებული თანხა - 0 ლარი.

1.3.3. აფხაზეთიდან დევნილთათვის მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ ობიექტებზე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შექმნის ხელშეწყობის პროგრამა

ფინანსური რესურსი - 4900 ლარი.
ათვისებული თანხა - 0 ლარი.

1.3.4. დევნილთა სოციალური უზრუნველყოფის პროგრამა

ფინანსური რესურსი - 550 000 ლარი.
ათვისებული თანხა - 125 000 ლარი.
ერთჯერადი ფინანსური სახის დახმარება გაეწია - 883 ბენეფიციარს.

1.4 საქმიანობის წარმართვის ძირითადი საკანონმდებლო ჩარჩო:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია;
- „აფხაზეთის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 31 ივლისის აგვისტოს N18 დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მინისტრის 2020 წლის 27 იანვრის N5 ბრძანება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“.

1.4 საქმიანობის ზოგადი მიმართულებები:

- უფლებამოსილების ფარგლებში, დევნილთათვის გადაუდებელი დახმარების გაწევა და მათი დროებითი განსახლების ხელშეწყობა;
- დევნილთა მონაცემთა ბაზის ადმინისტრირება;
- დევნილთა (აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებთა) სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნობრივი პროექტების/პროგრამების შემუშავება და მართვა;
- დ) კანონმდებლობის შესაბამისად, დევნილთა განსახლების ობიექტების რეაბილიტაციის ღონისძიებათა განხორციელება;

- ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობა, სახელმწიფო ან/და არასამთავრობო სექტორის მიზნობრივი პროექტებისა და პროგრამების შესახებ დევნილთა ინფორმირება და მათი ჩართულობის ხელშეწყობა;
- უფლებამოსილების ფარგლებში დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფის პროცესში ჩართულობა;
- მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენა და/ან ფოტოიდენტურობის დადასტურება, შესაბამისი დასკვნის/ცნობის გაცემა;
- დევნილ წევრებთან სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისა და სამხედრო სარეზერვო სამსახურთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა;
- დევნილთა კონსულტირება და სამართლებრივი დახმარების გაწევა;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების შექმნის ხელშეწყობა და მათთან თანამშრომლობა;
- საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

2. სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების მიერ განხორციელებული აქტივობები:

2.1 ადმინისტრაციული დეპარტამენტი მიერ:

2021 წლის პირველ კვარტალში დეპარტამენტის ჩართულობით დაიგეგმა და განხორციელდა სამართლებრივი და ტექნიკური სახის ქმედებები განსახორციელებელი რეორგანიზაციის მიმართულებით. შემუშავდა სამინისტროსა და ტერიტორიული ორგანოების დებულების ცვლილების პროექტები, საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის პროექტები, მოხელეთა სამუშაო აღწერილობები.

- განხორციელდა სამინისტროსა და ტერიტორიული ორგანოების საქმიანობის სოციალურ ქსელებსა და სამთავრობო პორტალზე გაშუქება.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს ორგანიზებით:

- მომზადდა საკადრო ბრძანების (ძირითადი საქმიანობა, დანიშვნა - გათავისუფლება, გადაადგილება – 152 პროექტი;
- მივლინება, შვებულება, საავადმყოფო ფურცელზე გასვლა - 19 პროექტი;
- ადმინისტრაციული და შრომითი ხელშეკრულების 37 პროექტი;
- სამინისტროს საჯარო მოსამსახურეებისათვის გაცემულია 5 ცნობა სამუშაო ადგილისა და თანამდებობრივი სარგოს შესახებ;
- დანიშვნა - გათავისუფლებისა და გადაადგილებების (მობილობით წესით გადაყვანის), შვებულებების, მივლინებების და საავადმყოფო ფურცელზე გასვლასთან დაკავშირებული ბრძანებები იტვირთებოდა ehrms პროგრამაში.
- განყოფილებას შესასრულებლად დაეწერა 281 კორესპონდენცია;
- განყოფილების მიერ მომზადდა სამინისტროს საჯარო მოსამსახურეების პროფესიული განვითარების 2021 წლის გეგმა, პროფესიული საჯარო მოხელეების შეფასების სისტემა. უზრუნველყოფილ იქნა სამინისტროსა და ტერიტორიული ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა სამუშაოს ანალიზის კითხვარისა და სამუშაოს აღწერილობების განახლება;

საქმისწარმოებისა და მოქალაქეთა მიღების სამმართველოს მიერ:

- დამუშავდა საარქივო დოკუმენტაცია.
- განხორციელდა შემოსული კორესპონდენციის რეგისტრაცია, გადამისამართება, გასული კორესპონდენციის რეგისტრაცია. სულ 989 კორესპონდენცია.

საფინანსო-ლოჯისტიკური სამმართველოს მიერ:

- განხორციელდა სამინისტროს დამტკიცებული ბიუჯეტის კვარტალური გაწერა. ბიუჯეტიდან მიღებული და კანონმდებლობით განსაზღვრული დაფინანსების აღრიცხვა. სამინისტროს სისტემის საფინანსო და საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების ორგანიზება. სამინისტროსა და ტერიტორიული ორგანოების მოსამსახურეთა ანაზღაურების და სხვა გასაცემლების დროული დარიცხვა. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს

კანონის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში სახელმწიფო შესყიდვების განსახორციელებლად დოკუმენტაციის მომზადების, შესყიდვის პროცედურების კოორდინაცია და კონტროლი.

2.2. რეგიონული მართვის და საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი:

- 2021 წლის იანვრისა და თებერვლის თვეში სამინისტროს მიერ დაიგეგმა და წარიმართა მუშაობა ბიუჯეტით დაფინანსებული პროგრამების ასათვისებლად, შემუშავდა და გამოიცა შესაბამისი სამართლებრივი აქტები (კომისიის წესები), დამტკიცდა კომისიის შემადგენლობები, დაიწყო პროგრამების ადმინისტრირებისათვის საჭირო შემდეგი მოსამზადებელი სამუშაოები:
„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით ერთჯერადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2021 წლის 05 თებერვლის N1 დადგენილების შესაბამისად, აფხაზეთიდან დევნილ, სოციალურად დაუცველ კატეგორიებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების სოციალური პროგრამისათვის, რესპუბლიკური ბიუჯეტით, 2021 წელს გათვალისწინებულია **295 000 ლარი**. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით, სამინისტროში შექმნილი ერთჯერადი დახმარების გამცემი კომისიის მიერ 2021 წლის პირველ კვარტალში ათვისებულია **125 000 ლარი** (იხ. **დანართი N2**);
➤ „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2021 წლის საგაზაფხულო გაწვევის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 29 იანვრის №39 დადგენილების საფუძველზე, სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა საგაზაფხულო გაწვევის შესახებ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების შესაბამისი სამსახურები, მიღებული გეგმა-გრაფიკების თანახმად, ახორციელებენ აფხაზეთიდან დევნილ წვევამდელთა სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევას (იხ. **დანართი N3**);
➤ „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნილის სტატუსის მამიებელი) პირთა ფოტოიდენტურობის დადასტურებისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამდგენი კომისიის მუშაობის წესის დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2020 წლის 20 მარტის N10 დადგენილების შესაბამისად, წარმოგიდგენთ სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნილის სტატუსის მამიებელი) პირთა ფოტოიდენტურობის დადასტურებისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამდგენი კომისიების“ მიერ 2021 წლის პირველ კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციას (იხ. **დანართი N4**);
➤ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები - პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღებაზე უფლებამოსილი პირების ფოტოიდენტურობის დადასტურებისა და საცხოვრებელი ადგილის დადგენის მიზნით სამინისტროში არსებულმა შესაბამისმა კომისიამ განიხილა **6** განცხადება და მიიღო **6** დადებითი დასკვნა.

წარიმართა საქმიანობა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სამინისტროს დევნილთა

საქმეების დეპარტამენტის სამართლებრივი დახმარების განყოფილების უფლებამოსილების ფარგლებში, რა დროსაც 37-მდე დევნილს გაეწია უფასო სამართლებრივი დახმარება.

იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიული ორგანო

დევნილებთან კოორდინაციის სამსახური:

- ჩატარდა 7 „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნილის სტატუსის მამიებელი) პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამდგენი კომისიის სხდომა;
- განხილულ იქნა 14 ბენეფიციარის განცხადება. მიღებულ იქნა 13 დადებითი 1უარყოფითი გადაწყვეტილება;
- განუხილველად დატოვებულ იქნა - 0 განცხადება.
- მომზადებულ და გაცემულ იქნა სხვადასხვა შინაარსის 20 ცნობა;
- მიღებულ იქნა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს - 2 წერილი;
- სსიპ-დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს - 2 წერილი;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სამინისტროს - 2 წერილი;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის - 1 წერილი;
- ადგილობრივი მუნიციპალიტეტებიდან - 14 წერილი;
- სასამართლო (საქალაქო, სააპელაციო) – 2 წერილი;
- სხვადასხვა ადრესატი - 10 წერილი;
- მომზადდა და პასუხი გაეცა 22 წერილს.

პროგრამების სამსახური

ერთჯერადი მატერიალური დახმარების გამცემი კომისია:

- შემოსულია 509 განცხადება;
- ჩატარდა კომისიის 3 სხდომა;
- დაკმაყოფილდა 178 განმცხადებელი;
- უარი ეთქვა 1 განმცხადებელს;
- გაცემულია 26 000 ლარი.

წვევამდელთა აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური:

- ჩარიცხულია რეზერვში 45 წვევამდელი;
- აღრიცხვაზე აყვანილია 14 რეზერვისტი;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან მიღებულია 0 პირადი საქმე.
- მოხსნილია საერთო აღრიცხვიდან 3 პირი;
- აყვანილია ხელახალ სამხედრო აღრიცხვაზე 3 რეზერვისტი;
- უწყების სპეც-აღრიცხვაზე აყვანილია 3 პირი;
- გაცემულია 11 რეზერვისტის დროებითი მოწმობა;
- 8 სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობა.
- დაუწყებელია 86 წვევამდელი;
- სამხედრო სამსახურში ჩარიცხულია - 4;

მათ შორის:

- ✓ თავდაცვის სამინისტრო - 3;
- ✓ შსს - 1;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეცა - **0** წვევამდელის საქმე;
- ქ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაეცა - **3** საქმე;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალებში (ვადიანი სამხედრო სამსახური) გაწვეულია - **8**;
- დაცვის პოლიციაში - **0**.
- საერთო გადავადება მიეცა - **76** წვევამდელს;
- საქართველოს ქრისტიანულ, ევანგელური, პროტესტანტული ეკლესია (გირჩი) - **4**;
- სამსახურში შემოსულია **34** წერილი.

საანგარიშო პერიოდში ტერიტორიული ორგანოს ოფისში ვეტერანთა საქმეების მიმართულებით **60** მოქალაქეს გაეწია სრულყოფილი კონსულტაცია (ძირითადად დისტანციური მუშაობის პირობებში) ვეტერანის სტატუსისა და სამედიცინო პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებით;

ტერიტორიული ორგანო აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ დევნილებს მათ წინაშე არსებული პრობლემების მოგვარების კუთხით:

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სამედიცინო მომსახურებებისათვის **ფულადი** დახმარება გაუწია **3** დევნილს, სამედიცინო დაწესებულებებში ჩარიცხულმა თანხამ **623,78** ლარი შეადგინა. გარდაცვლილი დევნილის **7** ოჯახს დაკრძალვის ხარჯებისათვის თითოეულს 250 ლარი. სულ თანხამ **1750** ლარი შეადგინა. სამ და მეტშვილიან **21** ოჯახს გაეწია ფულადი დახმარება **300** ლარი თითოეულს, ჯამში **6300** ლარი; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მეგრძოლ პენსიონერთა დახმარება თითოეულს **350** ლარი, **180** დევნილს. სულ გაცემულია **6300** ლარი. მარტოხელა დედის სტატუსის მქონე **6** პირი თითოეულს **300** ლარი, სულ თანხამ **1800** ლარი; მარტოხელა დედის სტატუსის მქონე პირის დახმარება **300** ლარი გაეწია **6** მშობელს, სულ **1800** ლარი. მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე **3** პირს, რომელთაც აქვთ მხედველობის პრობლემები, თითოეულს **250** ლარის დახმარება გაეწია. დახმარებამ სულ **750** ლარი შეადგინა. 0-დან 65 000-ის სარეიტინგო ქულით რეგისტრირებულ ოჯახებზე დახმარება პირველ და მეორე ახალშობილზე გაეწია დახმარება **2** ოჯახს, თითოეულზე **300** ლარი, სულ **600** ლარი.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიამ, აჭარის ა.რ/ის მთავრობამ, რისკ ჯგუფში შემავალ და სოციალურად დაუცველ დევნილ ოჯახებს გადასცა სხვადასხვა სახის ნობათი. ასევე, ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში, ქობულეთის მუნიციპალიტეტის შესაბამისმა სამსახურმა, ტერიტორიული ორგანოს უშუალო ჩართულობით, დეზინფექცია ჩატარა ქ.ქობულეთსა და ჩაქვში კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილთა ობიექტებს. საანგარიშო პერიოდში დევნილთა იმ კატეგორიამ, ვისაც არ ჰქონდა 100% სოც. დაზღვევა და საჭიროებდა სამედიცინო ჩარევას, ასევე ძვირადღირებულ სამედიცინო კვლევებს და ფედერალური ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა **70** % - ით, დამატებით, აჭარის ა.რ-ის ჯანდაცვის სამინისტროს ბიუჯეტიდან, ტერიტორიული ორგანოს უშუალო ჩართულობით, მიიღეს 20%-იანი თანადაფინანსება, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში დარჩენილი თანხის 30% სრულად დაეფარათ კრიტერიუმების შესაბამისად. აღნიშნული სერვისით მიმდინარე წელს ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა დევნილებმა - **7** ბენეფიციარმა ისარგებლა. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე წელს მოქმედებს (სოც.დაუცველებზე 100 000 სარეიტინგო ქულის ჩათვლით ოჯახებზე, შ.შ.მ პირებზე, მრავალშვილიანებზე, მარტოხელებზე) **200** ლარიანი მედიკამენტების ვაუჩერი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ტერიტორიული ორგანო ახდენდა დევნილთა ინფორმირებულობას, რის შედეგადაც, პროგრამით ისარგებლობის საშუალება მიეცა **15** დევნილ ოჯახს.

საქართველოში მოღვაწე საქველმოქმედო ფონდი „ვიქტორიას“ ხელშეწყობით, ქ. ბათუმში მცხოვრებ დევნილ ბავშვებს საჩუქრები გადაეცათ. ღონისძიება, ტერიტორიული ორგანოს ბათუმის ოფისში, ტერიტორიული ორგანოს უშუალო ხელშეწყობითა და ორგანიზებით გაიმართა. ასევე, წითელი

ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის საქველმოქმედო აქციის ფარგლებში, **6** დევნილ ოჯახს სასურსათე და ჰიგიენური საშუალების ნაკრები გადაეცათ.

გურიის რეგიონში სულ **168** ოჯახი - **521** პირი (ოზურგეთის მუნიცი. - **77** ოჯახი - **108** სული; ჩოხატაურის მუნიცი. - **38** ოჯახი - **108** სული, ლანჩხუთის მუნიცი. - **53** ოჯახი - **182** სული) მოქმედებს უშუალოდ დევნილ მოსახლეობაზე სათბობით უზრუნველყოფის მიზნით მატერიალური დახმარების გაწევის პროგრამა წლის განმავლობაში - **200** ლარის ოდენობით თითოეულ ოჯახზე;

ხონის მუნიციპალიტეტში, დევნილთა კომპაქტური ჩასახლების (ხონის სამხედრო დასახლება, სულ 17 კორპუსი) მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობს ხონის მე-4 საჯარო სკოლა. შენობა არის საქართველოს განათლების სამინისტროს ბალანსზე. სულ სწავლობს **224** მოსწავლე, აქედან მოსწავლეთა **60-65** პროცენტი დევნილია. დასაქმებულია ერთი დევნილი მასწავლებელი (ინგლისური ენის სპეციალისტი). შენობის ფოიე და საკლასო ოთახების კედლები დაზიანებულია, საღებავი და ზოგიერთ ადგილას ბათქაში ჩამოყრილია, იატაკი გამოსაცვლელია. სარდაფი და სხვენი ნორმალურ მდგომარეობაშია. სადრენაჟე სისტემა მოწესრიგებულია. სკოლა მერხებითა და სხვა ინფრასტრუქტურული ინვენტარით აღჭურვილია. ტერიტორიული ორგანოს მიერ საკითხის ადგილზე შესწავლისა და დირექციის აზრის გათვალისწინებით გამოიკვეთა, რომ სასურველია სკოლის მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, კერძოდ, დამატებითი კომპიუტერული ტექნიკით (კომპიუტერი, პრინტერი, ქსეროქსი) უზრუნველყოფა და შენობის ფოიესა და საკლასო ოთახების(ოთახების ნაწილის მაინც) გარემონტება. ამასთან დაკავშირებით წერილობით ეცნობა დევნილთა სამინისტროს. ამჯერად, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის ჩართულობით მიმდინარეობს პროექტი სკოლის მატერიალური-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, კერძოდ, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვის მიმართულებით;

აფხაზეთის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში ტერიტორიული ორგანოს შუამდგომლობით, ელექტრონული ფორმით, გაიზავნა **12** განცხადება დევნილთათვის გეგმიური ოპერაციების თანადაფინანსებასა და მრტ კვლევასთან დაკავშირებით;

2021 წლის იანვარში, აფხაზეთიდან დევნილმა თათუმა ჯანაშიამ (პ/ნ 62007001850) მიმართა ტერიტორიულ ორგანოს აღემრა შუამდგომლობა აფხაზეთის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინაშე ინვალიდის ეტლის დასამზადებლად. ტერიტორიული ორგანოს ჩართულობით, კანონით დადგენილი წესით (ზომების აღება, შესაბამისი დოკუმენტების მომზადება) და აფხაზეთის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით, შესაბამისი აქტის საფუძველზე მოქალაქე თათუმა ჯანაშიას გადაეცა საექსპლოატაციო მდგომარეობაში მოყვანილი, აწ გარდაცვლილი ავთანდილ ბაბლიძის (პ/ნ 62007006967) ეტლი. ასევე, 2021 წლის თებერვალში ტერიტორიულ ორგანოს მიმართა მოქ. თამარ ლეთოდიაძე (პ/ნ 62001026455) ინვალიდის ეტლით უზრუნველყოფის თაობაზე. ტერიტორიულმა ორგანომ წერილობით უშუამდგომლა აფხაზეთის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინაშე და მომზადებული შესაბამისი დოკუმენტების საფუძველზე, სამინისტროს დაფინანსებით მოქ. თამარ ლეთოდიაძეს დაუმზადდება და გადაეცემა ინვალიდის ეტლი.

ტერიტორიული ორგანოს ხელშეწყობით გაწეული კონსულტაციების შედეგად, **69** მოქალაქემ მიიღო მარჩენალდაკარგულისა და ომის მონაწილის სტატუსი. ასევე, შედგენილ იქნა **10** ვეტერანის სტატუსის მამიებლის საქმე, რომელიც უკვე გადაგზავნილია და რეგისტრირებულია ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში. გარდა ამისა, მომზადდა **6** გარდაცვლილი ვეტერანის ოჯახზე ერთჯერადი, **600** ლარიანი მატერიალური დახმარების მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში წარსადგენად, რომელიც უკვე აუნაზღაურდა თითოეულ ოჯახს. ამავდროულად, თითოეულ ოჯახს დაუფინანსდა სარიტუალო ხარჯები ადგილობრივი მმართველობის ორგანოებიდან (ქუთაისისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტები). საანგარიშო პერიოდში ტერიტორიულმა ორგანომ მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ღონისძიებებში. კერძოდ:

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიული ორგანო

დევნობთან კოორდინაციის სამსახური

- საანგარიშო პერიოდში „აფხაზეთის ა/რ ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამდგენმა კომისიამ“ ჩაატარა **18** კომისიის სხდომა.
- განხილულ იქნა **61** განცხადება: **40** ბენეფიციარის პირადი განცხადების საფუძველზე, **21** სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს წერილების საფუძველზე. მიღებულ იქნა **48** დადებითი და **11** უარყოფითი გადაწყვეტილება, წარმოებაშია დამატებითი ინფორმაციის მოძიების მიზნით **2** საქმე.
- სამსახურის მიერ მომზადებულ იქნა და გაცემული **185** ცნობა. მათ შორის **91** გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოციალური მომსახურების სააგენტოში.
- ზეპირი სამართლებრივი კონსულტაცია გაეწია **50**-მდე მოქალაქეს.
- კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში მომზადდა და პასუხი გაეცა ხელმძღვანელობის მიერ გადმომისამართებულ **67** წერილს:
მათ შორის:
 1. სსგ სააგენტოს მოქალაქეობისა და მიგრაციის სამსახური - **21**;
 2. სსგ სააგენტოს ქ.თბილისის სამოქალაქო რეესტრი - **29**;
 3. სსგ სააგენტოს აჭარის სამოქალაქო რეესტრი - **15**;
 4. სსიპ-დევნობა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო - **2**.
- სამსახურის მიერ განმცხადებელთა საჭიროებისათვის სხვადასხვა სახის ინფორმაციის მისაღებად, მათივე წერილობითი თანხმობის საფუძველზე, სსგ სააგენტოს საინფორმაციო სამსახურში გაიგზავნა **19**, სსგს არქივში - **6** წერილი. მიღებული პასუხებით იხელმძღვანელა კომისიამ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

პროგრამების სამსახური

- აღმოსავლეთის ტერიტორიული ორგანოს აფხაზეთიდან დევნილ, სოციალურად დაუცველ კატეგორიებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გამცემ კომისიაზე გადასაგზავნად 2021 წლის 18 იანვრიდან - 31 მარტის მდგომარეობით შემოსულია **1124** განცხადება, რომელთაგან დაკმაყოფილდა **418** განცხადება, უარი ეთქვა **33** განმცხადებელს, დარჩენილია განსახილველი **673** განცხადება. სულ საანგარიშო პერიოდში გაცემულია **58 400** ლარი.
- აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიულ ორგანოში არსებული მცირე სარემონტო სამუშაოების განმსაზღვრელმა კომისიამ ჩაატარა **4** სხდომა. შემოვიდა **16** განცხადება ქ.თბილისისა და აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონში მდებარე აფხაზეთიდან დევნილთა კომპაქტური ჩასახლებიდან. აქედან კომისიის მიერ განხილულ იქნა **12** განცხადება, რომელთაგან **8**-ზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება განცხადებაში მოყვანილი მცირე და აღდგენითი სარემონტო სამუშაოების ჩატარების შესახებ, ხოლო **4** განცხადებას ეთქვა უარი. მიმდინარეობს **4** განცხადების შესწავლა და ბაზრის კვლევა.
- სამსახურმა მონაწილეობა მიიღო 2021 წლის თებერვლის თვეში მრავალშვილიანი **2** ოჯახისთვის საკვები პროდუქტების შეძენასა და მათთვის გადაცემაში.
- მარტის თვის განმავლობაში ბოლნისის და მარნეულის მუნიციპალიტეტებში ადგილზე შესწავლილ იქნა დევნილი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა და საცხოვრებელი პირობები.

- სამსახურის ჩართულობითა და უშუალო მონაწილეობით, დედის დღესთან დაკავშირებით, **3** მარტს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ გამოყოფილი სასაჩუქრე კალათები გადაეცა აფხაზეთიდან დევნილ მრავალშვილიან და აფხაზეთის ომში დაღუპულთა შვილმკვდარ დედებს.
- აღნიშნულ პერიოდში ქ.თბილისში **9** ეკონომიურად უაღრესად შეჭირვებულ ოჯახებს გადაეცა სოციალური დახმარება, სასურსათო პროდუქტების სახით.

წვევამდელთა აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური

- აყვანილია აღრიცხვაზე - **60** რეზერვისტი (მათ შორის **1** ოფიცერი);
- მოხსნილია აღრიცხვიდან - **25** რეზერვისტი;
- გაიცა რეზერვისტის დროებითი მოწმობა -**27** ც.

წვევამდელები:

- აყვანილია სამხედრო აღრიცხვაზე – **142** წვევამდელი;
- მოხსნილია აღრიცხვიდან -**129** წვევამდელი.

მათ შორის:

- გაწვეულია სავალდებულო სამხედრო სამსახურში **24** წვევამდელი.

აქედან:

- შინაგან საქმეთა სამინისტროს გასამხედროებულ ქვედანაყოფებში – **6** წვევამდელი;
- თავდაცვის სამინისტროს ხაზით - **18** წვევამდელი;
- ჩაირიცხა რეზერვში ზღვრული ასაკით - **91** წვევამდელი;
- გარდაცვლილია - **1**;
- გადაიგზავნა სხვა რაიონში -**3** წვევამდელის პ/საქმე;
- ჩაირიცხა შსს დაცვის პოლიციაში (საკონტრაქტო სამსახური) – **6** წვევამდელი;
- თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში (საკონტრაქტო პროფესიულ სამსახურში გაწვეულია) – **2** წვევამდელი;
- გათავისუფლებულია ჯანმრთელობის მდგომ.გამო -**1** წვევამდელი;
- ნასამართლევნი - **4**;
- გადაიხადა მოსაკრებელი -**2** წვევამდელმა (**2000** ლარის ოდენობით);
- **26** წვევამდელზე გაიცა წვევამდელის სამხედრო სააღრიცხვო მოწმობა;
- საქართველოს ქრისტიანული, ევანგელისტური, პროტესტანტული ეკლესიის „ბიბლიური თავისუფლება“ მღვდელმსახურეობის წოდების მინიჭების მოწმობა წარმოადგინა - **80** წვევამდელმა (მოქმედი კანონმდებლობით სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევას არ ექვემდებარებიან);
- გადაეცა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტს დროებითი საცხოვრებელი ადგილის და საზღვრის კვეთის დადგენის მიზნით **90** წვევამდელის სახელობითი სია;
- ამასთან ერთად გადაეცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აფხაზეთის ა/რ პოლიციის დეპარტამენტს **45** წვევამდელის სია, რომელნიც არ ცხადდებიან სამხედრო სამსახურში და შეგნებულად იგნორირებას უკეთებენ, როგორც სამსახურის მოთხოვნას, ასევე პოლიციის არაერთ გაფრთხილებას კანონის დაცვის შესახებ;
- ჩატარდა გამწვევი კომისიის **10** სხდომა;

- სამსახურში სხვადასხვა ორგანიზაციებიდან (თავდაცვის სამინისტრო, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური, საზღვრის დაცვის დეპარტამენტი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახური) შემოვიდა **167** წერილი, რომლებზეც მოხდენილია შესაბამისი რეაგირება.

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ტერიტორიული ორგანო

დევნობითან ურთიერთობის, სოციალური პროგრამებისა და რეგიონული მართვის სამსახური:

- საანგარიშო პერიოდში ჩატარდა „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნობის სტატუსის მამიებელი) პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამდგენი კომისიის“ **3** სხდომა.
- განხილულ იქნა **7** ბენეფიციარის ან მათი ნდობით აღჭურვილი პირის განცხადება.
- მიღებულ იქნა **7** დადებითი, **0** უარყოფითი გადაწყვეტილება.
- განმცხადებელთა მოთხოვნის საფუძველზე, კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში სამსახურის მიერ მომზადებულ და გაცემულ იქნა სხვადასხვა შინაარსის **32** ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.
- ზეპირი სამართლებრივი კონსულტაცია გაეწია **300**-მდე ბენეფიციარს.
- ხელმძღვანელობის მიერ სამსახურში გადმომისამართდა **122** წერილი.
- სულ საანგარიშო პერიოდში გასულია **157**, ხოლო შემოსულია **122** კორექსოდენცია.

მათ შორის:

- სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს - **20** წერილი;
- ✓ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოდან - **4** წერილი;
- ✓ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნობითან სამინისტროს - **4** წერილი;
- ✓ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატიდან - **1** წერილი;
- ✓ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო - **42** წერილი;
- ✓ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო - **3** წერილი;
- ✓ გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლო - **10** წერილი;
- ✓ სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია - **3** წერილი;
- ✓ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამმართველო - **5** წერილი;
- ✓ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიული ორგანო - **11** წერილი;
- ✓ იმერეთის ტერიტორიული ორგანო - **2** წერილი;
- ✓ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია - **2** წერილი;
- ✓ ქ. თბილისის საქალაქო სასამართლო - **1** წერილი;
- ✓ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო - **2** წერილი;
- ✓ სენაკის მუნიციპალიტეტის მერია - **1** წერილი;
- ✓ ხობის მუნიციპალიტეტის მერია - **2** წერილი;
- ✓ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია - **1** წერილი;
- ✓ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია - **1** წერილი;
- ✓ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურისა და განათლების სამინისტრო - **1** წერილი;

- ✓ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - 6 წერილი.
- კომისიამ კანონმდებლობის განსაზღვრულ ვადებში განიხილა/მოამზადა და პასუხი გასცა 175 წერილს.

სოციალური განყოფილება:

- ერთჯერადი მატერიალური დახმარების გამცემი კომისიის სახელზე საანგარიშო პერიოდში შემოსულია 475 განცხადება, დაკმაყოფილდა 174 განცხადება, უარი ეთქვა 17 და დარჩენილია 284 განცხადება. სულ საანგარიშო პერიოდში გაცემულია 25 300 ლარი.

წვევამდელთა აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური:

- აყვანილია აღრიცხვაზე - 24 რეზერვისტი;
- მოხსნილია აღრიცხვიდან - 10 რეზერვისტი;
- გაიცა რეზერვისტის დროებითი მოწმობა - 24;
- გაწვეულია საკონტრაქტო სამსახურში - 21 რეზერვისტი;
- აყვანილია სამხედრო აღრიცხვაზე - 26 წვევამდელი;
- გაყვანილია ცენტრალურ გამწვევ კომისიასთან არსებულ მუდმივმოქმედი სამხედრო-სამედიცინო საექსპერტო კომისიის გასავლელად 52 წვევამდელი;

მათ შორის:

- ✓ გაწვეულია სავალდებულო სამხედრო სამსახურში 13 წვევამდელი.

აქედან:

- ✓ შინაგან საქმეთა სამინისტროს გასამხედროებულ ქვედანაყოფებში - 12 წვევამდელი.
 - ✓ თავდაცვის სამინისტროს ხაზით - 1 წვევამდელი.
 - ✓ გადაიგზავნა სხვა რაიონში - 7 წვევამდელის პ/ს.
 - ✓ ჩაირიცხა რეზერვში ზღვრული ასაკით - 409 წვევამდელი.
 - ✓ გაიცა წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობა - 18 წვევამდელზე.
 - ✓ შემოსული წერილების რაოდენობა - 72.
 - ✓ გასული წერილების რაოდენობა - 35.
 - ✓ საქართველოს ქრისტიანული, ევანგელისტური, პროტესტანტული ეკლესიის „ბიბლიური თავისუფლება“ მღვდელმსახურეობის წოდების მინიჭების მოწმობა წარმოადგინა - 17 წვევამდელმა.
 - ✓ წვევამდელის დროებითი საცხოვრებელი ადგილის და საზღვრის კვეთის დადგენის მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის დეპარტამენტს გადაეცა - 40 წვევამდელის სახელობითი სია.
 - ✓ ჩატარდა გამწვევი კომისიის სხდომა - 13.
- მიმდინარე წლის იანვრის თვეში ტერიტორიულმა ორგანომ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მცხოვრებ სოციალურად დაუცველი ოჯახების სტატუსის მქონე 3-დან 8 წლამდე ასაკის 1450 ბავშვს გადასცა საახალწლო ნობათი, რომელიც გამოყოფილი იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ;
 - მიმდინარე წლის 30 იანვარს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე ობიექტი (ყოფილი საკონსერვო ქარხნის ადმინისტრაციული შენობა), სადაც ცხოვრობდა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული 2 დევნილი ოჯახი, ჩამოინგრა. დაშვებული არასრულწლოვანი გოგონა (10 წლის მარი მამასახლისი - დედა ვიოლა გვამბია) მაშველების მიერ ამოყვანილ იქნა ნანგრევებიდან. ტერიტორიული ორგანოს შუამდგომლობითა და მხარდაჭერით არასრულწლოვანს ჩაუტარდა სამედიცინო

გამოკვლევები ქ თბილისში, ასევე, გაეწია შუამდგომლობა ერთჯერადი ფულადი დახმარების მიღებასთან დაკავშირებით;

- მიმდინარე წლის 9 თებერვალს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, გამსახურდიას ქ. #208-ში მდებარე დევნილთა კოლექტიური ჩასახლების ობიექტს (საავადმყოფოს ყოფილი სამზარეულოს შენობა) ხანძარი გაუჩნდა. მსხვერპლი არ ყოფილა, თუმცა შენობა დაზიანდა. აღნიშნულ ობიექტში მცხოვრებ 4 ოჯახს ტერიტორიული ორგანოს შუამდგომლობით გაეწია ერთჯერადი ფულადი დახმარება;
- ქ. ფოთში, გაგრის ქუჩა #14-ში რეგისტრირებულმა ამხანაგობა „სოხუმი“-ს თავმჯდომარემ ლელა გორდუხიანმა მოითხოვა სასმელი წყლის ვარგისიანობის ლაბორატორიული შემოწმება. ტერიტორიული ორგანოს შუამდგომლობით და ფოთის მერიის დაკვეთით შპს „ლაბორატორიული კვლევის ცენტრი“-ს მხრიდან 2021 წლის 12-15 თებერვალს განხორციელდა სასმელი წყლის ლაბორატორიული კვლევა, რომლის შედეგადაც დადასტურდა სასმელი წყლის ვარგისიანობა;
- სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიული ორგანოს შუამდგომლობითა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროების უზრუნველყოფის სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიისა და აჭარის ტერიტორიული სამმართველოს ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, მიმდინარე წლის 1-2 მარტს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხში მდებარე დევნილთა კოლექტიური ჩასახლების ობიექტში (ყოფილი უნივერსიტეტის შენობა) განხორციელდა საკანალიზაციო სისტემის და შემკრები სეპტიკის ამოწმება;
- 2021 წლის 22 მარტს, გალის ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოსულ სტუდენტთა ქ. თბილისში ტრანსპორტირების პროცესში, სტუდენტებისთვის საკვები პროდუქტით უზრუნველყოფის მიზნით შეძენილ იქნა 200 პაკეტი, თუმცა გაურკვეველი მიზეზების გამო ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოვიდა მხოლოდ 59 სტუდენტი. შესაბამისად 59 სტუდენტს გადაეცა სასურსათე პაკეტი, რაზეც შედგა შესაბამისი აქტი, ხოლო დარჩენილი 141 პაკეტი მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე გადაეცა აფხაზეთის სკოლებს (#1 საჯარო სკოლა - 25 პაკეტი, (#11 საჯარო სკოლა - 41 პაკეტი, #12 საჯარო სკოლა - 25 პაკეტი, #14 საჯარო სკოლა - 25 პაკეტი და #15 საჯარო სკოლა - 25 პაკეტი) პერსონალისათვის გადასაცემად.

2.3. პროგრამების მართვის დეპარტამენტი:

დაიგეგმა დეპარტამენტის საქმიანობის მიმართულებები, მათ შორის დეპარტამენტში შემავალი სოციალური მხარდაჭერისა და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერის სამმართველოების საქმიანობა, ბიუჯეტით დაფინანსებული პროგრამების ადმინისტრირების მიმართულებით.

2.4. შიდა აუდიტის სამსახური.

| № | დაგეგმილი აუდიტი | | სტატუსი |
|---|---|----------------------|-------------|
| | აუდიტის ობიექტი | აუდიტის სახე | |
| 1 | აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სამინისტროს ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის საფინანსო - ლოჯისტიკური უზრუნველყოფის | შესაბამისობის აუდიტი | დასრულებული |

| | | | |
|----------|--|--------------------|--------------------|
| | <p>განყოფილება (სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების დოკუმენტაციის მდგომარეობის აუდიტი)</p> | | |
| <p>2</p> | <p>აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დევნილთა სამინისტროს მიერ 2020 წელს განხორციელებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა საკუთრებაში/სარგებლობაში გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში სარემონტო - აღდგენითი და მცირეფასიანი და გადაუდებელი სარემონტო სახის განხორციელებული სამუშაოების მონიტორინგი.</p> | <p>მონიტორინგი</p> | <p>დასრულებული</p> |